საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 0 18 01438655

08/11/2018

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ მაია ლაგვილავას

ქალბატონო მაია,

მოგეხსენებათ, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.გ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პროფესიული სტუდენტი განმარტებულია შემდეგი სახით – საქართველოს მოქალაქე, რომელიც სწავლობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 და მე-5 საფეხურებზე, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისა. 2016 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ მოგმართათ ინიციატივით, პროგრამის ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის ცვლილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, პირველი, მეორე და მესამე საფეხურის პროფესიული სტუდენტები მოკლებულები იყვნენ შესაძლებლობას ესარგებლათ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დაზღვევით.

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების სისტემაში აღარ არის საფეხურებრივი დაყოფა და პროფესიული სტუდენტი განისაზღვრება როგორც, პირი რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა შეძლონ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტუდენტური დაზღვევით სარგებლობა, მნიშვნელოვანია დადგენილება შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი პროფესიული განათლების შესახებ ახალ კანონთან. ამასთან, პროფესიული განათლების მიმზიდველობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტებისათვის შესაძლებელი გახდეს ყველა იმ სერვისით სარგებლობა, რომელიც ვრცელდება აკადემიური განათლების საფეხურის სტუდენტებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, კიდევ ერთხელ განიხილოთ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ

ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესაძლებლობა.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
აბულაძე ირინე